პარტიის მიზანდასახულობანი ცხოვრებაში!

პარტიისა და ხალხის დიადი გზა

მხილოდ რამდენიმე დღე გავიდა, რაც ჩვენი დიადი სამშობლოს გულში — მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, და ახლა უკვე თვალნათლივ ჩანს, თუ რა დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ეს პლენუმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. მისმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც გამსჭვალულია შემოქმედებითი ლენინური სულისკვეთებით, მხურვალე საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა პპოვეს. ეს გადაწყვეტილებანი ფთაადგონებენ და აღფოთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს, სახავენ კომუნისტური მშენებლობის გზით მტკიცე წინსვლის ფართო პერსპექტივას.

ლენინური კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდნენ და ანიჭებენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობასთან, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფასთან. მტკიცედ რომ აღმოფხვრის და აღგვის იქ ზედმეტს, ბიუროკრატიულს, ცხოვრებისგან მოწყვეტილს, რაც პიროვნების კულტმა წარმოშვა, პარტია აბორციელებს რევოლუციური ხასიათის დიდ ღონისძიებებს მმართველობის გარდასაქმნელად, მშრომელთა ფართო მასების ინიციატივის განვითარებისათვის.

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ლენინური კურსის სისწორე და ცხოველმყოფელობა. დიდმა ღონისძიებებმა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდასაქმნელად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ახალმა სისტემამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინეს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარებაზე, წარმოებისა და ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპებზე.

მაგრამ ცხოვრება სწრაფად მიდის წინ და მეურნეობის პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ორგანიზაციული ფორმების, სტილისა და მეთოდების განუწყვეტელი სრულყოფა წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონზომიერ პროცესს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ დიდ ნაბიჯს წინ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფაში, მოასწავებენ სახალხო მეურნეობის მართვის მთლიანი და მწყობრი სისტემის შექმნას.

„პარტიული ორგანოების აგება საწარმოო პრინციპის მიხედვით, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოთ მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის უფრო კონკრეტული და გეგმაზომიერი ხელმძღვანელობა, მთავარი ყურადღება მივაქციოთ საწარმოო საკითხებს. ასეთი გარდაქმნა გააქტიურებს პარტიის საქმიანობის ყველა მხარეს, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობას უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შაკონსტრუქტორო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ახალი ორგანიზაციული ფორმები. შემუშავებულია ღონისძიებანი მშენებლობის, დაგეგმვის, მეცნიერულ-საკვლევი მუშაობის კოორდინაციის საქმეთა ხელმძღვანელობის ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ყველა პარტიული ორგანიზაციის, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა სამეურნეო ხელმძღვანელობის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარება; საჭიროა სწორად შევუხამოთ ერთმანეთს ერთმმართველობა და მასების ფართოდ ჩაბმა საწარმოთა და მშენებლობათა მართვაში.

ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პლენუმის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი. ლენინურად ორგანიზებული ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი, რომელიც დაეყრდნობა მშრომელთა ფართო მასებს, უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ჩვენს წინსვლაში დიადი მომავლისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა. ახლა ყველგან გულმოდგინედ სწავლობენ პლენუმის მასალებს, სახავენ მოქმედების თავიანთ გეგმას, რათა პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის წარმატებითი ბრძოლით თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებაში.

მთელი ჩვენი ხელიერი და მატერიალური ძალები წარმართოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი შენობის ასაგებად!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 279 (12487) | ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲐᲗᲐᲕᲘᲡ

ᲛᲝᲒᲖᲘᲗᲮᲠᲝᲑᲔᲜ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ

ᲥᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲢᲔᲮᲗ

ᲛᲣᲮᲐᲔᲡᲢᲐᲢᲔᲡ ციტრუსების ახალგაზრდებულ პლანტაციებში სასახელოდ მუშაობენ მეციტრუსეები. იკრიფება მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებით და ამ პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებით აღფრთოვანებული მუშები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ასახელონ დედა სამშობლო.

მეურნეობამ მთელ აჭარაში პირველმა შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის გეგმა. მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 280 ტონა მანდარინი და ამით წლიური გეგმა გაანაღდა.

პლენუმის მასალებით აღფრთოვანებული მეურნეობის მუშები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. მათ გადაწყვიტეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ მანდარინი 100 ტონა, ფორთოხალი — 15 ტონა, ლიმონი — 500 ათასი ცალი. ჩვენ სიტყვას არ გავტეხთ. პირობას სასახელოდ შევასრულებთ.

მ. მინაშვილი,
ქობულეთის რაიონი, მუხუსტატეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ

ᲬᲔᲚᲡ სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობის მშრომელებმა სასახელოდ იმუშავეს. თითეულ ჰექტარზე მივიღეთ 6.335 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ და შეასრულეთ შვიდწლიანი გეგმა. საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 53 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

მიღწეულით როდი კმაყოფილდებით. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაცნობის შემდეგ ჩვენს წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშალა. გადავწყვიტეთ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შვიდწლედის შეხუთე წლის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 6.400 კილოგრამი ჩაის ნედლეული, საშუალოდ ჰექტარზე — 65 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ცალკეულ ნაკვეთზე — 100 ცენტნერი.

კოლმეურნეებმა ქსენია გოგუაძემ და ეთერ მორჩილაძემ იკისრეს 0,5 ჰექტარზე მიიღონ ათ-ათი ტონა „მწვანე ოქრო“.

გ. ᲚᲚᲝᲜᲢᲘ,
ლანჩხუთის რაიონის ქვემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲐᲕᲘᲦᲔᲒᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲚᲣᲓᲔᲑᲡ

ᲓᲘᲓᲘ გამოცოცხლებაა სოფლად. კოლმეურნეები ეცნობიან და სწავლობენ ნოემბრის პლენუმის მასალებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას. ნოემბრის პლენუმის მასალებით აღფრთოვანებული სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის წევრები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უფრო ამრავლონ საკოლმეურნეო ხვავი და ბარაქა.

შვიდწლედის მეოთხე წლის კოლმეურნეობას უნდა მოეკრიფა და სახელმწიფოსათვის მიეყიდა 600 ტონა ჩაის ნედლეული, ფაქტიურად მივყიდეთ 657 ტონა. კარგად ვიმუშავეთ სიმინდის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. გადავწყვიტეთ 1963 წელს სახელმწიფოს მივყიდოთ 680 ტონა ჩაის ფოთოლი და თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 65 ცენტნერი სიმინდი.

მ. ᲐᲑᲐᲨᲛᲐᲫᲔ,
მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

„ᲛᲐᲠᲡᲘ-1“ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲒᲐ

ფრენის პროგრამის შესაბამისად 20 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე საპლანეტათშორისო სადგურიდან „მარსი-1“ მოეწყო რადიოკავშირის მორიგი სეანსები.

ტელემეტრულმა მონაცემებმა ცხადყვეს, რომ ტემპერატურა და წნევა საპლანეტათშორისო სადგურში ნავარაუდევ დიაპაზონშია: ტემპერატურა—25-30 გრადუსი ცელსიუსით, წნევა — 850 მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტი, მზის ბატარეები და დენის ქიმიური წყაროები ნორმალურად მუშაობენ. დამატებითი დამუხტვის დენი და მზის ბატარეების ძაბვა შეესაბამებიან ნავარაუდევ რეჟიმს.

ტრაექტორულ გაზომვათა მონაცემებით, საპლანეტათშორისო სადგური „მარსი-1“ დაშორება დედამიწიდან უკანასკნელ სეანსში შეადგენდა 8 მილიონ 726 ათას კილომეტრს. განვლილი სეანსების დროს საპლანეტათშორისო სადგურიდან მიღებულია აგრეთვე მეცნიერული ინფორმაცია. რადიოკავშირი სადგურთან კარგია.

28 ნოემბერს 9 საათზე მოსკოვის დროით საპლანეტათშორისო სადგური „მარსი-1“ დედამიწიდან იქნება 9 მილიონ 85 ათას კილომეტრზე და ვენერა შემდეგი ასტრონომიული კოორდინატები: პირდაპირი აღმასვლა — 7 საათი და 10 წუთი, დახრილობა — 44 გრადუსი და 55 მინუტი.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲓᲣᲑᲜᲐᲨᲘ

ᲓᲣᲑᲜᲐ (მოსკოვის ოლქი), 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ატომური კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის წევრ-სახელმწიფოთა მთავრობების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კომიტეტის მორიგი ყოველწლიური სესია. კომიტეტი ამ საერთაშორისო საკვლევი ორგანიზაციის მართვის უმაღლესი ორგანოა.

სესიაში მონაწილეობას იღებენ ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

სრულუფლებიან წარმომადგენელთა კომიტეტი განიხილავს დირექციის ანგარიშს ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ 1962 წელს, აგრეთვე გადაჭრის მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც ეხება მუშაობას 1963 წელს.

დღეს მოხსენებები გააკეთეს: გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ი. ბლოხინცევმა და ინსტიტუტის ადმინისტრაციულმა დირექტორმა ვ. ნ. სერგიენკომ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 27 ნოემბერი. (საქდესი). გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და აჭარის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების, აგრეთვე მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების დარგში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ლ. მ. უკლებამ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მ. სირაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა სათანადო დადგენილება მიიღო.

ᲐᲕᲘᲦᲔᲒᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲚᲣᲓᲔᲑᲡ

ᲓᲘᲓᲘ გამოცოცხლებაა სოფლად. კოლმეურნეები ეცნობიან და სწავლობენ ნოემბრის პლენუმის მასალებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას. ნოემბრის პლენუმის მასალებით აღფრთოვანებული სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის წევრები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უფრო ამრავლონ საკოლმეურნეო ხვავი და ბარაქა.

შვიდწლედის მეოთხე წლის კოლმეურნეობას უნდა მოეკრიფა და სახელმწიფოსათვის მიეყიდა 600 ტონა ჩაის ნედლეული, ფაქტიურად მივყიდეთ 657 ტონა. კარგად ვიმუშავეთ სიმინდის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. გადავწყვიტეთ 1963 წელს სახელმწიფოს მივყიდოთ 680 ტონა ჩაის ფოთოლი და თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 65 ცენტნერი სიმინდი.

მ. ᲐᲑᲐᲨᲛᲐᲫᲔ,
მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲧᲚᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲐᲙᲣ, 25 ნოემბერი. (საკდესი). აზერბაიჯანის ლიტერატურული საზოგადოებრიობა შესანიშნავი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადების 125 წლისთავს აღნიშნავს როგორც დიდ დღესასწაულს. დღეს ბაკოს გაზეთები ბეჭდავენ მთელ რიგ სტატიებს მიძღვნილს ქართული ლიტერატურის კრიტიკული რეალიზმის მამამთავრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, აგრეთვე ნაწყვეტებს მისი ნაწარმოებებიდან.

დიდი პოპულარობით სარგებლობს მ. ფ. ახუნდოვის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოწყობილი გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი.

ᲑᲐᲙᲣ, 27 ნოემბერი. (საქდესის კორ.). აზერბაიჯანის ლიტერატურული საზოგადოებრიობა, როგორც კულტურის დიდ დღესასწაულს, აღნიშნავს ქართველი ხალხის დიდი შვილის, შესანიშნავი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 125 წლისთავს. გუშინ მწერლთა კლუბში გაიმართა დიდი სალიტერატურო საღამო.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲑᲔᲭᲚᲔᲑᲨᲘ

ამერის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სამშობლოს ბეჭლებში შეინახეს 14 მილიონ 699 ათასი ფუთი სოიის მარცვალი — 7 მილიონ 238 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე მთელ 1961 წელს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს ოლქის ყველა მშრომელს ეს დიდი შრომითი გამარჯვება.

Ა. Ი. ᲛᲘᲙᲝᲘᲐᲜᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 27 ნოემბერი. (საკდესი). 26 ნოემბერს სალამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, რომელიც აქ იმყოფება, ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სადაც ესაუბრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს უ ტანს.

საუბრის შემდეგ უ ტანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში გამართა სადილი, რომელზეც საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ: ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინი და სხვა პირები.

ამერიკის მხრივ სადილზე იყვნენ: „კუბის კრიზისის მოწესრიგების საკოორდინაციო კომიტეტის“ თავმჯდომარე ჯონ მაკლოი, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტივენსონი და ელჩი ჩარლზ ოსტი.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲚᲟᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 27 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დილადანვე შეწყდა მუშაობა იაპონიის მახტებში — იაპონიის სხვადასხვა ქვანახშირმომპოვებელი რაიონის 100 ათასზე მეტმა მეშახტემ დაიწყო 24 საათის გაფიცვა, რითაც პროტესტს აცხადებს მაღაროელთა მასობრივი დათხოვნის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. მეშახტეებთან ერთად იაპონელ მშრომელთა ერთიან მოქმედებაში, რაც დღეს მიმდინარეობს პროფკავშირთა გენერალური საბჭოს მოწოდებით, მონაწილეობენ მედიცინრი მუშები, რომლებმაც მოაწყეს გაფიცვები იაპონის 104 ქალაქში.

განსაკუთრებით მძაფრი მოვლენები განვითარდა დღეს დილით იაპონიის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენციის მახლობლად. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა, მეშახტეები განლაგდნენ პრემიერის რეზიდენციის მახლობლად და განაგრძობდნენ მჯდომიარე გაფიცვას. დილით ყვირილით „ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ 70 მეშახტის დათხოვნის წინააღმდეგ“, ისინი ორი მხრიდან შეიჭრნენ რეზიდენციის შიდა ეზოში. მაღაროელებსა და პოლიციის რაზმს შორის, რომელიც რეზიდენციას იცავდა, მოხდა შეტაკება, რომელშიც დაიჭრა რამდენიმე კაცი.

ᲣᲐᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 27 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უაიტმა კუბის მთავრობისა და გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის განცხადება ინსპექციის შესახებ მიიჩნია როგორც ცდა „თავი აარიდონ სათანადო საერთაშორისო ღონისძიებებს“.

მაგრამ უაიტმა არ უპასუხა პირდაპირ კითხვაზე იმის შესახებ, უარყოფენ თუ არა შეერთებული შტატები კუბის წინადადებებს.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲝ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 27 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა თანხლებით ინსპექციის მიზნით იმოგზაურა გუშინ ( ) ორჯიისა და ფლორიდის შტატებში განლაგებულ სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზებში.

თვითმფრინავებსა და ხომალდებს, რომლებიც ამ ბაზებში არიან, აღნიშნავენ უცხოეთის საინფორმაციო საგენტოები, უშუალოდ იყენებდნენ კუბის რესპუბლიკის სამხედრო ბლოკადის განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ამხ. გ. მ. მარუაშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ᲫᲝᲠᲯᲘᲜᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲑᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ქ. თბილისი.
1962 წლის 27 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ამხ. ლ. ა. საუკარელიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ლევან აბოს-ძე საყვარელიძე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ᲫᲝᲠᲯᲘᲜᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲑᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ქ. თბილისი.
1962 წლის 27 ნოემბერი.



საშობლოგე ფიქრით...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელოსნოდან მსხვილ საწარმომდე — ასეთია ის გზა, რომელიც თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანამ განვლო თავისი არსებობის ასი წლის მანძილზე.

აქ მომუშავე ახალგაზრდებმა მხოლოდ გადმოცემით იციან თავიანთი ქარხნის წინაპრის შესახებ. მაგრამ ახლ ეს ამბავი მკითხეთ საწარმოს ვეტერანს, ცოცხალ მემატიანეს მ. ბაღდასაროვს! 18 წლის ბიჭი იყო იგი, როცა მამის კვალს გაჰყვა და არსენალში სამუშაოდ მივიდა. მას შემდეგ ბეგრმა წყალმა ჩაიარა, არც მეტი, არც ნაკლები, 50 წელი გავიდა. მ. ბაღდასაროვის თვალწინ ცოცხალი კალეიდოსკოპივით გაირბენს მოგონებათა სურათები. თითქოს გუშინ იყო. ყველაფერი განახლდა და გარდაიქმნა: მიდამოც, ქარხანაც, ადამიანიც.

ქარხანა ახლა თავის სიკვაბუკეს გაზიდავს. ამას მოწმობს მისი ზარდის ციფრები. ოცწლეულის ბოლოს საწარმო სამშობლოს მისცემს თითქმის ხაჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ახლა იძლევა.

ქარხნის კოლექტივი კმაყოფილია შვიდწლედის მეოთხე წლის შედეგებით. აქვს კიდეკაც ამის საფუძველი. მეოთხე კვარტალია მას ხელთ უპყრია საქართველოს პროფსაბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ადგილი. საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა აქ 104,8 პროცენტით შეასრულეს, ხოლო სახალოსლო პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლებმა 102,1 პროცენტი შეადგინა. ქარხანამ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 156 ათასი მანეთის პროდუქცია.

გეგმების რეალობა — ეს ადამიანებია. ქარხნის წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანს მის ყოველ მუშაკს, განსაკუთრებით კი მოწინავეებს — მჭედავ გ. მაკარაძეს და მემოდელე ვ. პაპანოს, ხარატ ო. ომარაშვილს და მლარავ ო. ხაჩატუროვს, ზეინკალ შ. ომანიძესა და მეკობე ვ. ჩუბარეკოს...

ომანიძე!

ყველასათვის ნაცნობი გვარია.

ეს ის არის — სკკპ XXII ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კარგი მოქალაქე და მართალი გულის ადამიანი, ახალგაზრდა კადრების საუკეთესო აღმზრდელი.

გუგუნებენ ქარხნის სახარატო დაზგები, ხმაურობენ საწარმოო გამოცდაზე დაყენებული მანქანები, მიმოდიან ხიდური და ელექტროამწეები. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ოქტომბრის რაიონში მოთავსებული ამ საწარმოს გულისძგერა უერთდება მთელი ჩვენის ძლევამოსილი ინდუსტრიის მძლავრ მაჯისცემას.

ამაში შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებში, როცა აქ უჩვეულო საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა სუფევდა. არ დარჩენილა არცერთი მუშა, რომელიც გადაჭარბებით არ ასრულებდა გეგმას. ამასთან ისინი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს პლენუმის მუშაობას, უსმენდნენ რადიოს, კითხულობდნენ გაზეთებს, გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს აგიტატორთა საუბრებს.

აი ქარხნის არტერიაში — საამწყობო საამქროში ვართ. აქ, ამ უბანზე, იყრის თავს დეტალები, ხდება მათი საზეინკლო დამუშავება და აწყობა, ორგვლივ გამაყრუებელი ხმაურია. ხელებდაკაპიწებული ადამიანები თავაუღებლივ მუშაობენ.

— ახლა ჩვენთან დიდი გამოცოცხლება იგრძნობა, — გვეუბნება საამქროს უფროსი ალ. არუთინოვი. — ყველას ერთი ფიქრი ამოძრავებს: პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას გაორკეცებული შრომით უპასუხოს.

მოწინავეები? — რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მაგრამ მოწინავეთა შორისაც ხომ არიან საუკეთესონი! ს. კუჯიაშვილის, ა. მანუკოვისა და გ. სტეფანოვის ბრიგადებს ვერავინ უსწრებს. 120-140 პროცენტი — ასეთია მათი ყოველდღიური მაჩვენებელი. საამქროს ყველა 140 მუშა გეგმებს მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა გეგმის გადამეტებით მიმართული. ჩვენც მხარს ვუჭერთ მას ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში, — გვეუბნება იგი.

საუბარში საამქროს უფროსი ოსტატი ს. ოსიპოვი ერევა.

— ახალი ენერგია შემმატა პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ, — ამბობს იგი. მე წარმოების რიგითი ოსტატი ვარ და ვგრძნობ, რომ მასში სწორად და დროულად არის მხილებული ის ნაკლოვანებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვეულის სამეურნეო ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობაში, კონკრეტულად და ნათლად არის შემუშავებული ჩვენი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ქარხანა. აქ არსებობს მთელი რიგი საბჭოები, მაგრამ ისინი გაფაცებული არიან მხოლოდ აღმზრდელობითი საკითხებით. ეს, ცხადია, საჭიროა, მაგრამ ქარხნის საწარმოო კომიტეტის შექმნა, რაც ახლო მომავლის საქმეა, უეჭველად რწმენას შეგვმატებს და დაგვეხმარება უკეთ გამოვამზეურო არსებული რეზერვები, ვეძიოთ ახალი შესაძლებლობანი. ეს რეზერვები კი გვაქვს. ერთი მაგალითი. მზა დეტალები ჩვენი საამქროდან იგზავნებოდა ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში, რომელიც სალიბპეტრერო საწყობიდან საკმაო მანძილით იყო დაშორებული. ამის გამო დეტალების ტრანსპორტირებაზე გაცილებით მეტი დრო და შრომა იხარჯებოდა, ვიდრე ამას ნორმალური პირობები მოითხოვდა. საკმარისი იყო ეს განყოფილება გადაგვეტანა სალიბპეტრერო საწყობის გვერდით, რომ გაგვეწია დროის მნიშვნელოვანი ეკონომია და გაგვეთავისუფლებინა დამხმარე მუშახელი. საამქროს რატომღაც, ვეგმაზომიერ მუშაობას ისიც შეუწყობს ხელს, რომ 1 დეკემბრიდან იგი სამეურნეო ანგარიშზე გადადის.

ქარხნის საყვირმა მუშებს ცვლის მუშაობის დამთავრება ამცნო. ვრცელი კორპუსებისაკენ დაიძრა მომდევნო ცვლა. საწარმოში ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა.

ბ. ᲬᲣᲙᲐᲙᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

რეპორტაჟი ქარხნიდან

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალთასიანი კოლექტივი უდიდესი ინტერესით ეცნობა და სწავლობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს, ერთსულოვნად იწონებს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიან მოხსენებას.

კითხულობ ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების ამ დიდ ისტორიულ დოკუმენტს, და კიდევ და კიდევ რწმუნდები, თუ რა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს პარტია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანას.

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, მთავარი პოზიცია, ამოსავალი წერტილია ტექნიკური პროგრესი.

ეს ნათლად ჩანს თუნდაც ჩვენი საავტომობილო ქარხნის მაგალითზე. ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ, ძირითადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებამ ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა მიმდინარე წლის ათ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება გაეზარდა 21,6 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 20,4 პროცენტით, ავტომობილების წარმოება — 29,6 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება ამაღლებინა 14,8 პროცენტით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ შვიდწლედის ოთხ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 3.700-ზე მეტი ახალი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. მრეწველობაში შეიქმნა ახალი საწარმოო სიმძლავრენი.

ეს ეხება აგრეთვე ჩვენს ქარხანას, სადაც მარტო მიმდინარე წელს მწყობრში ჩადგა ორი ახალი დიდი საწარმოო სიმძლავრე — ამფშავდა ჭედილი თუჯისა და ძარას საამქროები. ჩვენი ქარხნის მუშებისა და სპეციალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით აითვისეს ჭედილი თუჯის წარმოება სამრეწველო სიხშირის ელექტროინდუქციური ღუმელებით. საგულისხმოა, რომ ასეთი ღუმელები, პირველად საბჭოთა კავშირში, მხოლოდ ჩვენს ქარხანაში იქნა დადგმული და გამოყენებული.

ქარხანაში სულ უფრო ფართოდ ინერგება ნაკადური წარმოება. მიმდინარე წელს საწნეხ-საძარე საამქროში მოეწყო კაბინების აწყობისა და შედუღების ნაკადური ხაზი, ხოლო სიჩქარეთა კოლოფის საამქროში — მძლავრი კონვეიერი დეტალების გარეცხვისა და გამრობისათვის.

განუხრელად ეზრდით სხმულების, ნაჭედების, მექანიკურად დამუშავებული კვანძებისა და დეტალების გამოშვებას, რაც საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავაფართოოთ კოოპერირებული მუშაობა. ახლა აღნიშნულ პროდუქციას ფართო კოოპერაციით ვაწვდით არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მექანიკურ საწარმოებს, არამედ აგრეთვე უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის საავტომობილო, ავტომობილების ამწყობ, სარემონტო და სათადარიგო ნაწილების ქარხნებს.

მიუხედავად ამ წარმატებისა ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ძალიანად ვერ შევასრულეთ მიმდინარე წლის ათი თვის დაკალება, დიდია წუნით, განსაკუთრებით სხმულის წუნით, გამოწეული დანაკარგები, ზოგიერთ საამქროში კვლავ დაბალია წარმოების კულტურა, დაძველული არ არის იერიშობანის მავნე პრაქტიკა.

მართალია, 1957 წელთან შედარებით ათჯერ შემცირდა სახელმწიფოსგან მიღებული დოტაციის თანხა, მაგრამ ქარხანა დღემდე მაინც ზარალით მუშაობს.

წარმოების ყველა უბანზე წარმატებები რომ მოვიპოვოთ, მთელ ჩვენს საქმიანობაში მტკიცედ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში წამოყენებული ამოცანებით. ცხადია, საქმეს დიდ სარგებლობას მოუტანს სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია. კარგია, რომ ამიერიდან ჩვენი ქარხნის საკონსტრუქტორო ბიურო და საცდელი ბაზა უშუალოდ დაექვემდებარდება დარგობრივ კომიტეტს.

საავტომობილო მრეწველობაში ერთიანი ტექნიკური აზრის განხორციელება, მეცნიერთა და კონსტრუქტორთა ძალების ცენტრალიზაცია გადაგვრით შეუწყობს ხელს კვანძებისა და დეტალების უნიფიკაციას. ყოველივე ამის შედეგად კიდევ უფრო დაჩქარდება ტექნიკური პროგრესი, გაუმჯობესდება ტექნოლოგიური პროცესები, ფართო გაკანება მიეცემა მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. საბოლოო ანგარიშით კი დიდ წარმატებებს მოვიპოვებთ საუკეთესო ნიმუშების ავტომაწარმოების შექმნაში, მათი ექსპლოატაციის დარგში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებით აღფრთოვანებული ქართველი ავტომობილმშენებლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ განუხრელად განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებები.

გ. ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ,

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ს. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ.

განვაახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი

სპეციალიზაცია და რეზერვები

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეურნეობის სპეციალიზაციაში საქართველო გამოირჩევა, როგორც ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ტუნგოს, ბამბუკის და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების მწარმოებელ რესპუბლიკა. ჩაი, ტუნგო და ციტრუსები საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სიმდიდრისა და წინსვლის წყაროს წარმოადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩაის პლანტაციის ფართობი საქართველოში თითქმის 60-ჯერ გაიზარდა. თუ 1913 წელს ჩაის პლანტაციის საერთო ფართობი შეადგენდა 894 ჰექტარს, 1958 წელს მან 52 ათას ჰექტარს მიაღწია. შვიდწლედის ბოლოსათვის პლანტაციების ფართობები აყვანილ იქნება 70.000 ჰექტარამდე.

ჩაის კულტურა მოგლა-მოყვანის თვალსაზრისით მეეკუთვნება მსოფლიოს სოფლის მეურნეობის ყველაზე შრომატევად კულტურათა ჯგუფს. კერძოდ, ერთი ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის მოვლა-მოყვანისათვის (როგორც ჩვენი გაანგარიშებები გვიჩვენებენ) ხელით შრომის დროს საჭიროა 4.600 კაც-საათი; თუ გამოვიყენებდით ამჟამად არსებულ ტექნიკას და ძირითად სამუშაოებს, გარდა ჩაის ფოთლის კრეფისა, შეგასრულებდით მანქანებით, მაშინ 1 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის მოვლა-მოყვანისათვის დაგჭირდებოდა ნაცვლად 4.600 კაც-საათისა 3.200 კაც-საათი, ანუ 30 პროცენტით ნაკლები, ვიდრე ხელით დამუშავების დროს, ხოლო თუ კრეფის თანამედროვე მექანიზაციასაც გამოვიყენებდით, მაშინ ეს ციფრი 2.300 კაც-საათამდე შემცირდებოდა.

ჩაის პლანტაციის მოვლა-მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის მნიშვნელობა, ხელით შრომასთან შედარებით, მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდით არ ამოიწურება, არამედ მის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდის საქმეშიც. მაგალითად, ჩაის შპალერული გასხლის მექანიზაციამ გაუმჯობესა გასხლის ხარისხობრივი მაჩვენებლები, ამით შეიქმნა წინაპირობები ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების უკეთ გამოყენებისათვის. გასხლის მექანიზაციამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა აგრეთვე პლანტაციების მოვლის კულტურა.

შრომატევადი და მძიმე სამუშაოებს ყოველმხრივი მექანიზაცია სოციალისტური წარმოების განვითარების ძირითადი გზაა. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ძირითად საგანს შეადგენდა და შეადგენს სოფლის მეურნეობის ტექნიკით უზრუნველყოფის საკითხი. ამის დადასტურებას წარმოადგენს ისიც, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი სოფლის მეურნეობა მარადდა ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ განკუთვნილი სპეციალური ტრაქტორებითა და იარაღ-აპარატებით. კერძოდ, სწ-8 გ-ს ტრაქტორი თავისი საკიდი იარაღებითა და აპარატებით და ტ-16 მჩ ტრაქტორი თავისი საკიდი იარაღებითა და აპარატებით.

აღნიშნული ტრაქტორები თავიანთი იარაღ-აპარატებით სამუალებას იძლევიან ჩავატაროთ ჩაის კულტურის მოყვანის შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია შპალერული წესით გაშენებულ ჩაის პლანტაციებში, რომელთა რიგთაშორის მანძილია 1,25; 1,5; 1,75 და 2,05 მეტრი.

სუბტროპიკულ რაიონებში ბევრია ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც დღემდე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სრულებით არ ყოფილა გამოყენებული. ამის მიზეზი არ შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ ისეთი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში, რადგან, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა აღნიშნული კოლმეურნეობებისა და მეურნეობების შესწავლა ისე, რომ მტკიცედ გამოვლინებულიყო, თუ რა ოდენობის ფართობებია ვარგისი თანამედროვე ტრაქტორების სამუშაოდ.

1957-1958 წლებში ჩატარებული სუბტროპიკული კულტურების პასპორტიზაცია არ შეიძლება სრულყოფილად მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, მაშინ ტრაქტორებით დამუშავებისათვის ვარგისად არ ყოფილა ჩათვლილი ისეთი ჩაის პლანტაციები, რომლებიც გაშენებულია 1,25 მეტრ რიგთაშორისებში. ჩვენი აზრით ეს სწორი არ არის. ასეთ რიგთაშორისებში ტრაქტორ სწ-8 გ-ს წარმატებით შეუძლია იმუშაოს. ამასთან ერთად ჯერ კიდევ არ შემუშავებულა ის ძირითადი კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უნდა განხორციელდეს ამა თუ იმ კონტურის სამექანიზაციოდ მომზადებისათვის.

წელს ტრაქტორებით დამუშავებისათვის ვარგისი ფართობების გამოვლინების მიზნით ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ შესწავლილ იქნა მახარაძის რაიონის ნასაკრალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

ეს მეურნეობა არ წარმოადგენს მარტო ჩაის სპეციალიზებულ მეურნეობას, არამედ აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ციტრუსოვანთა ნაყოფს, ვენახს, ხეხილს, ციტრუსოვანთა ბაღებს და სხვ.

ნასაკრალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის სატრაქტორო აგრეგატების გამოყენება ჯერ-ჯერობით არ წარმოებს. თუ 1957-1958 წლებში პასპორტიზაციის პირველადს მასალებს დავუჯერებთ, ამ მეურნეობაში ტრაქტორებით დამუშავებისათვის ვარგისი ფართობები 15,79 ჰექტარს არ აღემატება. ფაქტიურმა შესწავლამ კი დაგვანახვა, რომ მეურნეობის 475,3 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან ტრაქტორებით დამუშავებისათვის ვარგისია 75,33 ჰექტარი, აქედან დღეისათვის სამექანიზაციოდ მზად არის 27,69 ჰექტარს, ხოლო დანარჩენი 47,64 ჰექტარს მომზადება ესაჭიროება.

კონტურების სამექანიზაციოდ მომზადება გამოიხატება ძირითადად სატრაქტორო აგრეგატებისათვის ვარგისად ფერდობებში, მოსაბრუნებელი ზოლის მოწყობაში. ზოგან საჭიროა აგრეთვე დაღვარული ადგილების გასწორება, გაწმენდა და სხვ. ამ მეურნეობაში კონტურებად თუ რა უნდა გაკეთდეს ამა თუ იმ კონტურის მომზადების დროს, შეტანილია სპეციალურ ცხრილში შესასრულებელი სამუშაოს ხასიათისა და მოცულობის აღნიშვნით. ამ ცხრილის გამოყენება დიდ დახმარებას გაუწევს სამეურნეო დარგს აღნიშნული კონტურების სამექანიზაციოდ მომზადების დროს.

აღსანიშნავია, რომ სამექანიზაციოდ ფართობებს მომზადების დროს ხშირად საჭიროა ხდება ჩაის ბუჩქების ამოღება; მაგალითად, ნასაკრალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 47,64 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მომზადების დროს ჩაის ბუჩქები ამოღებულ უნდა იქნას დაახლოებით 4.500 გრძივ მეტრზე. ეს ამ ღონისძიების განხორციელება ეკონომიურ მიგვაჩნია. საქმე მოგვარდა, რაგვარ ამოღებულ ტერიტორიაზე ვეძებთ ადგილს ამოჩეხილ ბუჩქებისათვის.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ

ᲚᲝᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ (თუ გნებავთ, ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის გაუტარებლად).

მეურნეობას ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციის შპალერული გასხვლა ხელის მაკრატლების გამოყენებით 75 მანეთი უჯდება. ეს სამუშაო რომ სასხლავი აგრეგატით შესრულდეს, დაჯდება დაახლოებით 12 მანეთი. ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციის ხელით გათოხნა დღეისათვის მეურნეობას უჯდება 23 მანეთი, ტრაქტორით 1 ჰექტარის კულტივაცია დაუჯდება დაახლოებით 5 მანეთი. სასუქის მექანიზებული წესით შეტანა 75,33 ჰექტარზე ხელით შეტანასთან შედარებით მოგვცემს აგრეთვე საშუალოდ 1.200 მანეთ წლიურ ეკონომიას.

ამრიგად, ჩაის მოვლის მხოლოდ ამ სამი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ოპერაციის მექანიზაცია მეურნეობას მისცემს დაახლოებით 7.300 მანეთ წლიურ ეკონომიას.

ტუნგოს ნაყოფის გარჩევა ამ მეურნეობაში ხელით წარმოებს მაშინ, როცა უკვე არსებობს ტუნგოს ნაყოფის სარჩევი მანქანა და ამასთან ერთად არა ერთი, არამედ ორი ტიპისაც. ერთი ტიპის ტუნგოს სარჩევი მანქანა, როგორც ცნობილია, დაამზადა თბილისის სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ, ხოლო მეორე ტიპისა — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკვლევმა ინსტიტუტმა.

ნასაკრალის ჩაის საბჭოთა მეურნეობას 1 ტონა ტუნგოს ხელით გარჩევა 1961 წლის მისაღებად დაუჯდა 134 მანეთი. მეურნეობამ ტუნგოს სარჩევი მანქანა რომ გამოიყენოს, ერთი ტონა ტუნგოს ნაყოფის გარჩევა დაუჯდება 10 მანეთი. თუ ნასაკრალის მეურნეობაში 120 ტონა ტუნგოს ნაყოფს მანქანით გავარჩევთ, მეურნეობა მიიღებს დაახლოებით 15.000 მანეთ ეკონომიას ანუ, უფრო სწორად, ტუნგოს სარჩევი ერთი მანქანა 240 საათის განუწყვეტელი მუშაობით გააკეთებს იმდენ ეკონომიას (ხელით შრომასთან შედარებით), რაც საკმარისია ტუნგოს სარჩევი ათი მანქანის შესაძენად.

ნასაკრალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მაგალითის მიკუეკარით იმ დასკვნამდე, რომ დროულია სათანადო ორგანოების წინაშე დაისვას საკითხი, რათა შესწავლილ იქნას სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და განხორციელდეს ყველა საჭირო ღონისძიებები არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დიდი წარმადობით გამოყენებისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესწავლის დროს აუცილებელია მაქსიმალურად გამოვლინდეს ტრაქტორებისათვის სამუშაოდ ვარგისი ფართობების ოდენობა და შემუშავდეს კონტურების სამექანიზაციოდ მომზადების კონკრეტული ტექნოლოგიური რუკები.

სამუშაო ტექნოლოგიური რუკები საშუალებას მოგვცემენ ტრაქტორებისათვის სამუშაოდ ვარგისი ფართობების სამექანიზაციოდ მომზადება დავუქვემდებაროთ სახელმწიფო საწარმოო გეგმას.

Ი. ᲑᲝᲒᲝᲠᲮᲘᲫᲔ,

ᲩᲐᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲯᲐᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალთასიანი კოლექტივი უდიდესი ინტერესით ეცნობა და სწავლობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს, ერთსულოვნად იწონებს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიან მოხსენებას.

კითხულობ ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების ამ დიდ ისტორიულ დოკუმენტს, და კიდევ და კიდევ რწმუნდები, თუ რა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს პარტია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანას.

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, მთავარი პოზიცია, ამოსავალი წერტილია ტექნიკური პროგრესი.

ეს ნათლად ჩანს თუნდაც ჩვენი საავტომობილო ქარხნის მაგალითზე. ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ, ძირითადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებამ ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა მიმდინარე წლის ათ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება გაეზარდა 21,6 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 20,4 პროცენტით, ავტომობილების წარმოება — 29,6 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება ამაღლებინა 14,8 პროცენტით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ შვიდწლედის ოთხ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 3.700-ზე მეტი ახალი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. მრეწველობაში შეიქმნა ახალი საწარმოო სიმძლავრენი.

ეს ეხება აგრეთვე ჩვენს ქარხანას, სადაც მარტო მიმდინარე წელს მწყობრში ჩადგა ორი ახალი დიდი საწარმოო სიმძლავრე — ამფშავდა ჭედილი თუჯისა და ძარას საამქროები. ჩვენი ქარხნის მუშებისა და სპეციალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით აითვისეს ჭედილი თუჯის წარმოება სამრეწველო სიხშირის ელექტროინდუქციური ღუმელებით. საგულისხმოა, რომ ასეთი ღუმელები, პირველად საბჭოთა კავშირში, მხოლოდ ჩვენს ქარხანაში იქნა დადგმული და გამოყენებული.

ქარხანაში სულ უფრო ფართოდ ინერგება ნაკადური წარმოება. მიმდინარე წელს საწნეხ-საძარე საამქროში მოეწყო კაბინების აწყობისა და შედუღების ნაკადური ხაზი, ხოლო სიჩქარეთა კოლოფის საამქროში — მძლავრი კონვეიერი დეტალების გარეცხვისა და გამრობისათვის.

განუხრელად ეზრდით სხმულების, ნაჭედების, მექანიკურად დამუშავებული კვანძებისა და დეტალების გამოშვებას, რაც საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავაფართოოთ კოოპერირებული მუშაობა. ახლა აღნიშნულ პროდუქციას ფართო კოოპერაციით ვაწვდით არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მექანიკურ საწარმოებს, არამედ აგრეთვე უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის საავტომობილო, ავტომობილების ამწყობ, სარემონტო და სათადარიგო ნაწილების ქარხნებს.

მიუხედავად ამ წარმატებისა ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ძალიანად ვერ შევასრულეთ მიმდინარე წლის ათი თვის დაკალება, დიდია წუნით, განსაკუთრებით სხმულის წუნით, გამოწეული დანაკარგები, ზოგიერთ საამქროში კვლავ დაბალია წარმოების კულტურა, დაძველული არ არის იერიშობანის მავნე პრაქტიკა.

მართალია, 1957 წელთან შედარებით ათჯერ შემცირდა სახელმწიფოსგან მიღებული დოტაციის თანხა, მაგრამ ქარხანა დღემდე მაინც ზარალით მუშაობს.

წარმოების ყველა უბანზე წარმატებები რომ მოვიპოვოთ, მთელ ჩვენს საქმიანობაში მტკიცედ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში წამოყენებული ამოცანებით. ცხადია, საქმეს დიდ სარგებლობას მოუტანს სამეცნიერო-საკვლევ და

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲫᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲚᲓᲐᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲯᲔᲠᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲔᲪᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲚᲓᲐᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡ

ახალი კუბის საქმე

ყველა საბჭოთა ადამიანის საქმეა

ა. ი. მიქოიანის გამოსვლა კუბის ტელევიზიით

ჰავანა, 26 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც კუბაში იმყოფება, გუშინ გამოვიდა კუბის ტელევიზიით.

თავისი გამოსვლის დასაწყისში ა. ი. მიქოიანმა თქვა, რომ კუბაში ყოფნის დროს მას ჰქონდა მრავალი შეხვედრა, უზიარდება აზრს კუბის ხელმძღვანელებს, ხვდებოდა უბრალო ხალხს, სტუდენტებს, პროფესორებს, უყურებდა და ისმენდა. წასვლის წინ, განაგრძო მან, მობარული ვარ გითხრათ, რომ ისევე, როგორც ეს თქვენმა ბელადმა ფიდელ კასტრომ თქვა, მე კმაყოფილი ვარ ჩვენი შეხვედრებით და მოლაპარაკებით. ეს არის არა მარტო ჩემი აზრი, არამედ ჩვენი მთავრობისა და ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის აზრიც.

ჩვენ, განაგრძო ა. ი. მიქოიანმა, აქ ჩამოვედით ძმებთან, ამხანაგებთან სასაუბროდ და მივდივართ ურთიერთნდობის, ძმური თანამშრომლობის გრძნობით, იმის კიდევ უფრო მეტი შეგნებით, რომ კუბის საქმე ყველა საბჭოთა ადამიანის საქმეა. ჩვენ ვიყავით მეგობრები, დავრჩებით და მუდამ ვიქნებით თქვენი საუკეთესო მეგობრები.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა რევოლუცია ფიდელ კასტროსა და მის მებრძოლ თანამშრომელთა ხელმძღვანელობით დემოკრატიულიდან სოციალისტურ რევოლუციად გადაიზარდა. ამ რევოლუციამ, თქვა მან, დიდი წვლილი შეიტანა ყველა ხალხის ბრძოლაში იმპერიალისტთა და კაპიტალისტთა ბატონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის.

ეს მაგალითი შთაგონებს სხვა ხალხებს ეძებონ გზები ამავე მიზნის მისაღწევად.

ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა კუბის მთავრობის მხარდაჭერით შეძლო კუბისათვის თავიდან აეცილებინა ომი, ეხსნა კაცობრობა ატომური ომისაგან, რომლის ზღვარზე იყო მსოფლიო, და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ დღეებში კუბა გახდა მსოფლიო პოლიტიკის ფოკუსი. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი კუბის მხარეზეა. გამოვლინდნენ და გვიჩვენეს თავი კუბის ნამდვილმა მეგობრებმა, ხოლო კუბის მტრებმა გამოააშკარავეს თავიანთი ზრახვები. კუბა დღეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე წინათ. კუბის სიმამაცისა და მისი შვილების სიმტკიცის წინაშე თავს ხრის ყველა, ვისაც უყვარს სოციალიზმი და ვინც ოცნებობს რევოლუციას.

კუბის მაგალითი სულ უფრო ძლიერი ფაქტორი ხდება და წინ მიმყავს რევოლუციური მოძრაობა როგორც ლათინურ ამერიკაში, ისე ყველა ქვეყანაში, რომლებიც განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

ყველას, განაგრძო ა. ი. მიქოიანმა, ესმის იმ პოლიტიკის სიბრძნე, რომელმაც მსოფლიო იხსნა ატომური ომის საფრთხისაგან, დაეხმარა კუბელ ხალხს დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა იმისათვის, რომ განამტკიცოს ახალი საზოგადოებრივი წყობილება.

ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა, რომ საფრთხემ, რომელიც კუბას ემუქრებოდა, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ხალხის მასები რევოლუციური ხელმძღვანელობის გარშემო, რომელსაც ფიდელ კასტრო მეთაურობს. სოციალისტურმა კუბამ, განაცხადა მან, გაიმარჯვა. გამარჯვების შეინარჩუნებს და გამარავლებს და კიდევ უფრო მრწყინვალე შუქურა იქნება, რომელიც იზიდავს ყველა ჩაგრულ ხალხს.

ა. ი. მიქოიანმა ხაზი გაუსვა უდიდეს როლს, რომელიც პირადად ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა შეასრულა კუბის კრიზისის გადაჭრაში. ეჭვი არ არის, თქვა მან, რომ ისინი, ვინც ისტორიას შეისწავლის, ობიექტურად და სამართლიანად შეაფასებენ ამ ამბებს.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა, განაცხადა ა. ი. მიქოიანმა, მთხოვა გადმოგცეთ ყველა კუბელ მეგობარს, რომ ჩვენ კუბის ძმები ვართ. ასეთი ვიქნებით კვლავაც. საბჭოთა კავშირი ძმასავით ეხმარება და კვლავაც დაეხმარება კუბას. დარწმუნებული იყვნენ კუბელი მეგობრები, რომ მათდამი ჩვენი გრძნობები განუწყვეტლივ განმტკიცდება.

ა. ი. მიქოიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სადავო საკითხები გადაიჭრას მშვიდობიანი საშუალებებით, და თქვა: რომ იმათი იარაღის წინააღმდეგ, ვისაც სურს იარაღით გადაჭრას სადავო საკითხები, დგას საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის იარაღი. სანამ ხელს აღმართავენ, მათ უნდა იფიქრონ, რა მოელით. თუ ამერიკის შეერთებული შტატები, თუ აგრესიული ძალები დაიწყებენ ატომურ ომს, ხოლო ომს ახლა არ შეიძლება სხვა ხასიათი ჰქონდეს, ეს იქნება მათთვის კატასტროფა. ეს იქნება ამერიკის შეერთებული შტატების პირველი და უკანასკნელი ომი მათს ტერიტორიაზე. საჭიროა, განაგრძო ა. ი. მიქოიანმა, გამოვიჩინოთ გონიერება და გონივრულად გადავჭრათ ყველა საკითხი. როგორც მან თქვა, კუბის კონფლიქტში გაიმარჯვა გონივრულმა გადაწყვეტილებებმა: არ არის ატომური ომი, კუბას ასცდა ომის საფრთხე.

ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა, რომ კუბაზე თავდაუსხმელობის ყველაზე დიდი გარანტიაა კუბელი ხალხის ერთობა, ის, რომ მხარი დაუჭიროს თავის მთავრობას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, რომლებიც პარტიისა და კუბის მთავრობის შთამაგონებელია, და ხაზი გაუსვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თავდაუსხმელობის საერთაშორისო გარანტიებს, რაც განმტკიცებულია იმით, რომ კუბასთან ერთად, ხელიხელჩაყიდებული, ძმებივით დგანან საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის სხვა ქვეყნები.

ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა, რომ იმ დიდ ამოცანათა გადაჭრისათვის, რომლებიც კუბელმა ხალხმა დაისახა, კუბას, ისევე როგორც სხვა ხალხებს, მშვიდობა ესაჭიროება, და თქვა, რომ ამხანაგ ფიდელ კასტროს განცხადება, რომელშიც წამოაყენა ხუთი პუნქტი, მშვიდობათვის ბრძოლის პროგრამაა. ამ განცხადებაში არ არის არავითარი მუქარა ვინმესადმი. ეს არის მშვიდობის დიდი პროგრამა კუბისათვის, კარიბის აუზის ქვეყნებისათვის. საბჭოთა კავშირს ეს პროგრამა, ხაზგასმით აღნიშნა მან, სამართლიანად მიაჩნია და მხარს უჭერს ყოველი საშუალებით.

ა. ი. მიქოიანმა თქვა, რომ კუბელი ხალხი, ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხები მშვიდობისათვის იბრძვიან, და ხაზგასმით აღნიშნა, მშვიდობის ძალები ომის ძალებზე ძლიერია და ჩვენ მშვიდობას დავიცავთ.

ომის საფრთხე არსებობს, თქვა მან. არ შეიძლება ვიყოთ პასიური, უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის. სანამ არ არის მიღწეული საყოველთაო განიარაღება, უნდა განვამტკიცოთ ძალები და თავდაცვა. კუბა, თქვა მან, მზად არის თავდაცვისათვის, აქვს თავდაცვის თანამედროვე იარაღი, და კუბასთან ერთად არიან საბჭოთა კავშირი და სოციალიზმის ქვეყნები.

ა. ი. მიქოიანმა გამოთქვა რწმენა, რომ კუბა იცხოვრებს და აყვავდება როგორც სოციალისტური ქვეყანა. სოციალიზმი, თქვა მან, კუბაში მოვიდა არა იმისათვის, რომ წავიდეს, არამედ იმისათვის, რომ იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს.

თავისი სიტყვის დასასრულს ა. ი. მიქოიანმა თქვა: მოსკოვიდან კუბაში ჩამოვიტანე მხურვალე სალამი თქვენი მთავრობისა და ხალხისადმი. შეხვედრებმა, რომლებიც თქვენს მთავრობასთან მქონდა, ხალხთან ურთიერთობამ საშუალება მომცა ერთხელ კიდევ მეგრძნო ის დიდი სიყვარული და მეგობრობა, რითაც კუბელი ხალხი ეკიდება საბჭოთა ქვეყნის ხალხებს.

გამოსვლის ბოლოს ა. ი. მიქოიანმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

* * *

სურათზე: ამხანაგი ა. ი. მიქოიანი და კუბელი ხალხის ბელადი ფიდელ კასტრო.

ა. ი. მიქოიანი ჰავანიდან გამოემგზავრა

ჰავანა, 27 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, ბატონ ფიდელ კასტროსა და რევოლუციურ კუბის ხალხთან ერთად, [illegible] ბოლოს გაცილებულ იქნა ა. ი. მიქოიანი.

საბჭოთა სტუმართან გამოსაათხოვებლად ჰავანის ხოსე მარტის აეროპორტში მივიდნენ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე და რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო, მთავრობისა და გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის წევრები, კუბის რევოლუციური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი.

ამხანაგი ა. ი. მიქოიანი აგრეთვე გაიცილეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კუბაში ა. ი. ალექსეევმა, საბჭოთა საელჩოს და კუბაში სხვა საბჭოთა ორგანიზაციების თანამშრომლებმა.

ა. ი. მიქოიანის დეპეშა კუბის ხელმძღვანელებისადმი

ჰავანა, 27 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, კუბიდან რომ წამოვიდა, ოქტ-18 თვითმფრინავიდან შემდეგი დეპეშა გაუგზავნა კუბის ხელმძღვანელებს: კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ოსვალდო დორტიკოს ტორადოს.

კუბის პრემიერ-მინისტრსა და გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების გენერალურ მდივანს ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ვტოვებ რა თქვენს გმირ ქვეყანას, სადაც ბედნიერად ძმური სტუმართმოყვარეობა და გაგება ვპოვეთ, მინდა ერთხელ კიდევ ვუძღვნა მადლობა კუბის თავისუფლებისმოყვარე და დამოუკიდებელ ხალხს და გულსურვილ წარმატებითი წინსვლა არჩეული გზით, სოციალიზმის გზით.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების საკითხებზე ჩვენმა ამხანაგებმა აზრთა გაზიარებამ, რაც გულწრფელობისა და ნდობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დამაჯერებლად დაადასტურა, რომ მტკიცე და ურღვევია ჩვენი პარტიების, საბჭოთა კავშირისა და რევოლუციური კუბის მთავრობების, ჩვენი ხალხების მეგობრობა. ამ მეგობრობას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი პრინციპები, ჩვენი მიზნების ერთობა, ძმური სოლიდარობა და ინტერნაციონალიზმი.

კუბელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისი მართალი საქმე, დაიცვას ხელყოფისაგან საფრთხოლოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, იგი აღსავსეა ენთუზიაზმით — მშვიდობიანი შრომით ამრავლოს რევოლუციის მონაპოვარნი.

ამ კეთილშობილურ ბრძოლაში მას სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის ქვეყნების ძმური ოჯახი და მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ნება მიბოძეთ თქვენი მეშვეობით მხურვალე სალამი გადავცე თქვენს თანამებრძოლებს, ყველა ჩვენს კუბელ მეგობარს და გუსურვო წარმატება და ბედნიერება,

ა. ი. მიქოიანი,
1962 წლის 26 ნოემბერი.

ა. ი. მიქოიანი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ ჩამოვიდა ჰავანიდან გზად მიმავალი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. ა. ი. მიქოიანმა აიღლე ალდის აეროპორტში განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ჰავანაში ესაუბრა ძველ მეგობრებს — რევოლუციური კუბის ხელმძღვანელებს ფიდელ კასტროსა და მის თანამებრძოლებს, იყო ბევრ ადგილას და ხვდებოდა ხალხს. ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა უდიდესი პროგრესი, რომელსაც კუბამ მიაღწია ორ წელიწად-ნახევარში, რაც გავიდა კუბაში ა. ი. მიქოიანის უკანასკნელად ყოფნის შემდეგ.

მე კმაყოფილი ვარ ჩემი მოგზაურობით, თქვა ა. ი. მიქოიანმა. კუბის მთავრობის ხელმძღვანელებმა განმიცხადეს, რომ ისინიც კმაყოფილი არიან. კუბელები და მათი ლიდერები მშვენიერი ადამიანები არიან და მე გირჩევდით კარგი ურთიერთობა დაგემყარებინათ მათთან. ახლა, როცა მიღწეულია შეთანხმება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოსა და პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის შორის, სა-ამისოდ ხელსაყრელი პირობებია.

უპასუხა რა ჟურნალისტთა კითხვებზე, ა. ი. მიქოიანმა თქვა, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს კუბის ხუთ პუნქტს, რადგან ეს პუნქტები სამართლიანია.

ა. ი. მიქოიანს აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის ელჩი შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ა. მენშიკოვი, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. თ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელოვი.

ა. ი. მიქოიანს აგრეთვე შეხვდნენ კუბის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში კ. ლეჩუგა და ხელმძღვანელები სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებისა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

ა. ი. მიქოიანი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ ჩამოვიდა ჰავანიდან გზად მიმავალი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. ა. ი. მიქოიანმა აიღლე ალდის აეროპორტში განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ჰავანაში ესაუბრა ძველ მეგობრებს — რევოლუციური კუბის ხელმძღვანელებს ფიდელ კასტროსა და მის თანამებრძოლებს, იყო ბევრ ადგილას და ხვდებოდა ხალხს. ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა უდიდესი პროგრესი, რომელსაც კუბამ მიაღწია ორ წელიწად-ნახევარში, რაც გავიდა კუბაში ა. ი. მიქოიანის უკანასკნელად ყოფნის შემდეგ.

მე კმაყოფილი ვარ ჩემი მოგზაურობით, თქვა ა. ი. მიქოიანმა. კუბის მთავრობის ხელმძღვანელებმა განმიცხადეს, რომ ისინიც კმაყოფილი არიან. კუბელები და მათი ლიდერები მშვენიერი ადამიანები არიან და მე გირჩევდით კარგი ურთიერთობა დაგემყარებინათ მათთან. ახლა, როცა მიღწეულია შეთანხმება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის შორის, სა-ამისოდ ხელსაყრელი პირობებია.

კუბა ეოითხოვს სამართლიან გადაჭრას

ჰავანა, 26 ნოემბერი. (საკდესი). კუბის გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნულმა ხელმძღვანელობამ და მთავრობამ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელიც აყალიბებენ თავიანთ პოზიციას კარიბის ზღვის რაიონში შექმნილი კრიზისის გამო.

განცხადებაში ნათქვამია:

„შეერთებული შტატების მთავრობა მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერები დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ტერიტორიიდან გატანილია სტრატეგიული იარაღი. კუბა მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერები დარწმუნდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, პუერტო-რიკოსა და სხვა ადგილებში, სადაც მზადდება აგრესია კუბის წინააღმდეგ, რომ მოისპო ბანაკები, სადაც ამზადებენ დაქირავებულებს, ჯაშუშებს, დივერსანტებსა და ტერორისტებს; რომ მოისპო ცენტრები, სადაც ამზადებენ ძირგამომთხრელ მოქმედებას, და ბაზები, საიდანაც გამოდიან მეკობრული ხომალდები, რომლებიც თავს ესხმიან ჩვენს სანაპიროებს, და არა მარტო ამას, არამედ აგრეთვე ღონისძიებათა მიღებას, რათა განხორციელდეს ეფექტიანი კონტროლი იმისადმი, რომ ეს აქტები არ განმეორდეს მომავალში, იმ ბარანტიების ფარგლებში, რომელთაც კუბა მოითხოვს, თუ შეერთებული შტატები და მათი თანამზრახველნი კუბის წინააღმდეგ აგრესიაში არ დაეთანხმებიან გაერთიანებული ერების ამგვარ ინსპექციას თავიანთ ტერიტორიაზე, მაშინ კუბა არ დაეთანხმება არავითარ ინსპექციას თავის ტერიტორიაზე“.

კუბის გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციის ეროვნული ხელმძღვანელობისა და მთავრობის განცხადებაში განშეორებულია ცნობილი ხუთი პუნქტი, რომლებიც, კუბის მთავრობის აზრით, უნდა შესრულდეს, რათა ნამდვილად და საბოლოოდ აღმოიფხვრას კრიზისი კარიბის ზღვაში.

„მხოლოდ ურთიერთდათმობისა და გარანტიების გზით შეიძლება მივაღწიოთ ფართო, ღირსეულ, ყველასათვის მისაღებ შეთანხმებას, — აღნიშნულია განცხადებაში, ამ კრიზისს სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი გადაჭრა, უეჭველად, ხელს შეუწყობს მსოფლიოში არსებული სხვა პრობლემების გადაჭრასაც. იგი იქნება ნაბიჯი ნამდვილი მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე“.

ქუბელი ახალგაზრდები სამშობლოში დაბრუნდნენ

ჰავანა, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ჰავანის ნავსადგურში მოვიდა საბჭოთა სამგზაური გემი „ბალტიკა“. მან ჩამოიყვანა სამას ოთხმოცდაცხრა კუბელი ახალგაზრდა, რომლებიც ერთ წელიწადს სწავლობდნენ საბჭოთა კავშირში.

შეწყდეს აჯომური გამოცდა!

ჟენევა, 27 ნოემბერი. (საკდესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი, რომელმაც გუშინ განაახლა მუშაობა, შეუდგა დღის წესრიგში დასმული საკითხების განხილვას. სხდომაზე გამოვიდა ამერიკის დელეგაციის მეთაური ა. დინი. მან მთავარი ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას ომის შემთხვევით დაწყება, და შეეხო ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს. ამასთან იგი კვლავ მოითხოვდა საერთაშორისო კონტროლისა და სავალდებულო ინსპექციის დაწესებას ადგილებზე. მისი გამოსვლა არ შეიცავდა კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც დაეხმარებოდნენ კომიტეტს გადაეჭრა მის წინაშე დასახული ამოცანები.

ა. დინს მხარი დაუჭირეს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა გოდბერმა და იტალიის წარმომადგენელმა კავალეტიმ. ინგლისის დელეგატმა, რომელსაც ახალი არაფერი უთქვამს, სადაოდ მიიჩნია საბჭოთა კავშირის პოზიცია.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ თთბერის მუშაობის დროებით შეწყვეტამდე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე საბჭოთა კავშირმა შეიტანა მეტად მნიშვნელოვანი კონსტრუქციული წინადადებანი და ზოგი რამ დაუთმო დასავლეთის სახელმწიფოებს, რათა გაეადვილებინა საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრა.

სსრ კავშირის, თქვა ს. კ. ცარაპკინმა, კვლავ მიაჩნია, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წინადადებანი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე შეიძლება საფუძვლად დაედოს წარმატებით მოლაპარაკებას კომიტეტში. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს შესაძლოდ მიაჩნია შეთანხმების საფუძვლად მიიღოს მექსიკის წინადადება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ 1963 წლის 1 იანვრიდან. სსრ კავშირი, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, მოითხოვდა და მოითხოვს შეწყდეს უკლებლივ ყველა გამოცდა. ყველა გარემოში (მათ შორის მიწისქვეშა) და სამუდამოდ.

დასასრულ ს. კ. ცარაპკინმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა წესით უნდა განიხილონ კომიტეტში ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც საყოველთაო და სრული განიარაღების პირველ ეტაპს შეეხება.

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება 28 ნოემბერს.

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი

უცხოეთის ქრონიკა

◆ როგორც პრაღიდან იუწყებიან, 100.000-ზე მეტი ახალი წევრი შეიყარა წლის დამდეგიდან ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირში.

◆ უკანასკნელი დღეების მანძილზე დასავლეთ უნგრეთის ტერიტორიაზე ქარბუქი ბობქრობდა. ზოგიერთ რაიონში თოვლის სისქე ერთ მეტრს აღემატება. ნამქერების შედეგად ბევრ ხაზზე დროებით შეწყდა სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა.

◆ ყოველ 9 წუთში იაპონიაში ჩნდება ხანძარი. სულ იაპონიაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოხდა 29.000 ხანძარი, რომელთა შედეგად 553 კაცი დაიღუპა.

◆ დასავლეთ გერმანიის კელნის სამრეწველო ინსტიტუტის მონაცემებით, 1961 წლის ოქტომბრიდან 1962 წლის სექტემბრამდე საარსებო მინიმუმის ღირებულება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საშუალოდ გაიზარდა 3,5 პროცენტით. ფასების ყველაზე დიდი ზრდა მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

◆ მოტლანდიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა (ქალაქ ორხუსი, დანია) ახალი თეატრალური სეზონი დაიწყო მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვით“. დიდი წარმატება ხვდა ოპერის პრემიერას.

(საკდესი).

ჯ. კენედის განცხადება

ვაშინგტონი, 27 ნოემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში მუშაობა განაახლა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ გამოაქვეყნა განცხადება. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გამოთქვამს იმედს, „დაუყოვნებლივ დაიწყება სერიოზული მოლაპარაკება განიარაღების იმ თაედაპირველ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც, იხილავ რომ განხორციელებულიყო, მნიშვნელოვნად განამტკიცებდნენ საერთაშორისო უშიშროებას და გაუმჯობესებდნენ შემდგომი პროგრესის პერსპექტივებს განიარაღების დარგში“. „საჭიროა, — აცხადებს პრეზიდენტი, — ეს მოლაპარაკება წინ წაეწიოთ და მივაღწიოთ კონკრეტულ წარმატებებს“.

პოლონეთის პროფკავშირთა V კრება

ვარშავა, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა პოლონეთის პროფკავშირთა მეხუთე კრება. კრებობა გახსნა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ლოგა-სოვინსკიმ. კრებობას ესწრება 1.200-ზე მეტი დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ პროფკავშირთა 6,5 მილიონ წევრს.

კრებობას ესწრებიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაკადკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანხი, საზღვარგარეთის პროფკავშირული დელეგაციები. მათ შორის — საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი.

კრებობის დღის წესრიგშია პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მოხსენება, ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, რეზოლუციის დამტკიცება, ცვლილებანი პროფკავშირთა გაერთიანების წესდებაში და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

კრებობაზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ, რომელიც შეჩერდა პოლონეთის ეკონომიურ მდგომარეობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის აღმაშენებლობის ამოცანებზე.

შემდეგ მოხსენება „პროფკავშირთა ამოცანები სოციალისტური მშენებლობის, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების დარგში“ გაკეთა ი. ლოგა-სოვინსკიმ.



ჩინეთის ახალი ამბები

პეკინი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ხენანის პროვინციის სოფლებში წარმატებით ითვისებენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან. ეს კონსტრუქციები, რომლებიც მარტივი შედარებით ეკონომიურია, დიდი წარმატებით სარგებლობენ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

შუქიანის პროვინციის მემარცხენეებმა ოქტომბრის დამლევისათვის შეასრულეს მარილის წარმოების წლიური გეგმა. პროვინციის მარილის საზღვაო სარეწებმა ჩინეთს მისცეს თითქმის 30 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში, ახლა სარეწების მუშები და მოსამსახურეები ერთმანეთს ეჯიბრებიან მარილის წარმოების შემდგომი გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

ხუნანის პროვინციაში მიმდინარე წელს ფართოდ გამოიყენეს სამოქალაქო ავიაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ხეხილის მავნებელთა მოსასპობად. მარტო ივნისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის დამლევამდე ხუნანში ამ მიზნით განხორციელდა 869 თვითმფრინავ-გაფრენა.

სულ უფრო ფართოდ იყენებენ ჩინეთის სხვადასხვა რაიონში ავიაციას გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებისათვის, ტყეების დაცვისათვის, სამეცნიერო კვლევისათვის.

* * *

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. დატუნის ქვანახშირის აუზში (შანსის პროვინცია) ქვანახშირის ამოღება დაიწყო ორ ახალ შახტში, რომლებიც აღჭურვილი არიან სამამულო წარმოების ტექნიკით.

სურათზე: ახალი შახტის მეშახტეები სამუშაოზე მიდიან.

ფოტო სინხუა-საკდესისა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

△ ლონდონი, 26 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ვლაზგოში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელიც შოტლანდიის ტრედ-უნიონთა კონგრესმა მოაწყო შოტლანდიაში უმუშევრობის ზრდის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მიტინგზე გამოვიდა შოტლანდიის ტრედ-უნიონთა კონგრესის თავმჯდომარე დევიდ ლოუდერი, რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად 98 ათას შოტლანდიელს არა აქვს სამუშაო. შოტლანდიის პროფკავშირებს, თქვა მან, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ მშრომელთა საარსებო უფლებებისათვის.

△ ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). საინფორმაციო სააგენტოები ქალაქ გვატემალადან იუწყებიან, რომ გვატემალის პრეზიდენტის ერთგულმა ჯარებმა სწრაფად ჩაახშეს სამხედრო-საჰაერო ძალების ამბოხება.

ამ წარუმატებელი ამბოხების ხელმძღვანელებში გვატემალის უაღრესად მემარჯვენე წრეებს ეკუთვნიან.

△ ტოკიო, 27 ნოემბერი. (საკდესი). „საყოველთაო და სრული განიარაღების გზით უომო მსოფლიოსათვის!“, „ჩინეთთან ხელშეკრულება ურთიერთობის აღდგენისა და სსრ კავშირთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის“, „იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირის ლიკვიდაციისათვის, ნეიტრალიტეტის პოლიტიკისათვის“ — ამ ლოზუნგებით გაიხსნა დღეს აქ იაპონიის სოციალისტური პარტიის მორიგი 22-ე ყრილობა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სოფია, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მოხსენება იმის შესახებ, რომ საჭიროა მოხდეს მინისტრთა საბჭოსა და მისი ორგანოების მუშაობისა და სტრუქტურის რეორგანიზაცია, და დაამტკიცა მოხსენებაში მოყვანილი დებულებები.

პლენუმმა გადაწყვიტა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შექმნას პარტიული და სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი, რომელსაც ექნება შესაბამისი ორგანოები ოლქებში.

პლენუმმა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ივანე პრიმოვი.

პარლამენტის არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 26 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტები ა. ბარანოვი და ი. ლოპატინი იუწყებიან:

დღეს დილით გამოირკვა, თუ როგორია საფრანგეთის ეროვნული კრების არჩევნების ორტურის შედეგები მეტროპოლიისა და საზღვარგარეთის ტერიტორიების 482 საარჩევნო ოლქიდან 475 ოლქში.

475 დეპუტატის ადგილი ასეა განაწილებული: საფრანგეთის კომუნისტური პარტია — 41, გაერთიანებული სოციალისტური პარტია და პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირი — 4, საფრანგეთის სოციალისტური პარტია და მისი მიმხრობელ

ახალი ამბები

ᲘᲚᲒᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ

ქუთაისი. (საკ. კორ). სტუდენტმა გივი არველაძემ ქუთაისის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1962 წლის მესამე გამოშვების ლატარიის პირველი თანრიგის 13293 სერიის № 208 ბილეთი, რომელსაც ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ამავე ნომრისა და სერიის მეორე თანრიგის ბილეთით ავტომანქანა „მოსკვიჩი“ მოიგო აგრეთვე ქუთაისელმა მოსამსახურემ ვაჟა ფაიქიძემ. ამავე სალაროში რსფსრ ფულისა და ნივთების ლატარეის მიმდინარე წლის მესამე გამოშვების ბილეთი წარადგინა მოქალაქე გაბრიელ თავდიდიშვილმა, რომელმაც მოიგო „მოსკვიჩი“.

ქუთაისში მცხოვრებ მოქალაქეებს ბ. ქიმუცაძეს და ბ. ჯავახაძეს ხვდათ პიანინოები, ხოლო ნ. ბაქრაძეს, ი. კუხიანიძეს, შ. ფურცხვანიძეს, ნ. ჩხარტიშვილს და ბ. კახიანს — მაცივრები.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო-საკვლევ, შემკრებლობით და საექსპოზიციო მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტმა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპატარი საგელით დააჯილდოვა გივი მათიაშვილი — ხაშურის რაიონის აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე, ვარლამ გურგენიძე — ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ლამარა ყანჩაველი — მუზეუმის მეცნიერი მუშაკი და არკადი რაზმაძე — ხაშურის № 13 სკოლის პედაგოგი.

Გ. ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲚᲣᲘᲡ ᲙᲘᲚᲘᲙᲝᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ Ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საგასტროლოდ ჩამოვიდა ლონდონის სამეფო საოპერო თეატრის „კოვენტ-გარდენის“ სოლისტი ლუის კილიკო (ბარიტონი).

მომღერალი საბჭოთა კავშირში პირველად არის. წარმატებით ჩაიარა მისმა გასტროლებმა მოსკოვში (საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე), ლენინგრადში, კიევში.

ლუის კილიკო ლონდონის თეატრ „კოვენტ-გარდენში“ 1961 წლიდან მღერის. შანამდე წარმატებით გამოდიოდა ამერიკისა და კანადის საოპერო თეატრების სცენებზე.

ინგლისელი მომღერლის საშემსრულებლო ხელოვნებისათვის ძალიან მახლობელია იტალიელ კომპოზიტორთა შემოქმედება.

დღეს ლუის კილიკო მონაწილეობას მიიღებს თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლ „რიგოლეტოში“, სადაც იმღერებს რიგოლეტოს პარტიას, ხოლო 1 დეკემბერს გამოვა „აიდაში“ (ამონასრი).

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველო და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი 2 და 3 დეკემბერს აწყობენ მხატვრული თვითმოქმედების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსს.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ მომღერლები, მოცეკვავეები, მხატვრული კითხვის ოსტატები, ხელოვნების თითქმის ყველა დარგის მუშაკები. რესპუბლიკური კონკურსი გაიმართება კავშირგაბმულობის კულტურის სახლში, ხოლო დასკვნითი საღამო მოეწყობა 4 დეკემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

2 დეკემბერს — დათვალიერების პირველ დღეს კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის, გორის, გურჯაანის, ბოლნისის, ქუთაისის, მახარაძის ზონებისა და თბილისის წარმომადგენლები. დათვალიერების მეორე დღეს — 3 დეკემბერს გამოვლენ სოხუმის, ცხინვალის, დუშეთის, ზესტაფონის, ცხაკაიას, ახალციხის, ამბროლაურის ზონებისა და თბილისის წარმომადგენლები.

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოებული იქნებიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპატარი სიგელებით.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

„აბა რა არის ახალი ამ XXIV ჩემპიონატში?“ — შეიძლება იკითხოს ზოგმა მეთვალყურემ. — „სპარტაკი“ პირველ ადგილზეა? ეს ხომ უკვე მერვედ არის ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში. მოსკოვის დინამოელებმა მეორე ადგილი დაიკავეს? ესეც მერვედ ხდება. თბილისის გუნდი მესამე პრიზიორია? არც ეს არის ახალი ამბავი, მათ მეექვსედ უჭირავთ ეს ადგილი.

მაშ მოდით გავერკვეთ — მართლაც ახალი რამე მოხდა უკანასკნელ წელს საბჭოთა ფეხბურთში, თუ ლიდერთა ძველ კომბინაციასთან, განვლილის უბრალო გამეორებასთან გვაქვს საქმე.

რა თქმა უნდა, სატურნირო ქულების დაუთვლელად, გათამაშების ცხრილში გუნდების განულაგებლად ფეხბურთი ერთ წელიწადსაც ვერ იარსებებს. მაგრამ ამგვარი სტატისტიკა მკვდარია, თუ მას თან არ სდევს დაკვირვება, როგორ წარიმართა მოვლენები მოედნებზე. მე ვფიქრობ, რომ კაცს, რომელიც შინ ჩაჯდებოდა და გულმოდგინედ აწარმოებდა ყოველნაირ არითმეტიკულ გამოანგარიშებას, საბოლოოდ ყოველნაირი ცნობების უმდიდრესი კოლექცია ექნებოდა, მაგრამ მოვლენათა მსვლელობის არსზე საინტერესოს ვერაფერს გეტყოდათ.

1960 წელს ჩვენს ფეხბურთში მოხდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამეფო დინასტიის შეცვლა. მოსკოვის სამი უძველესი კლუბის მრავალი წლის ბატონობა დაამხო დედაქალაქის „ტორპედომ“, ხოლო ერთი წლის შემდეგ ჩემპიონთა რიგებში ჩადგნენ კიევის დინამოელებიც. ბევრს ეს მოულოდნელი და უჩვეულო ეჩვენა. მაგრამ არ შეიძლებოდა არ გავეხარბინეთ იმას, რომ „ძალაუფლებას“ სათავეში ჩაუდგნენ გუნდები, რომლებმაც გამოაცხადეს ახალი, მწვავე შეტევითი თამაში, გვიჩვენეს მთელი რიგი საინტერესო ტექნიკური და ტაქტიკური სიახლენი. შემთხვევითი როდია, რომ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებმა, რომლებსაც წინათ ძირითადად ორიენტაცია აღებული ჰქონდათ მოსკოვის „სპარტაკსა“ და „დინამოზე“, სწორედ ამ ორი გუნდის მოთამაშეებს მიმართეს.

მაშ გამოდის, რომ მოხდა ძველის რესტავრაცია და განვლილი ორი წელი მხოლოდ წარმავალი ეპიზოდია? არა, ფეხბურთის ლიდერების შეცვლა არასოდეს არ არის უბრალო მექანიკური მოქმედება. მას ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორებიც კი ვერ გამოიწვევს, როგორიც არის გუნდის კარგი ფიზიკური მდგომარეობა და მისი ნებისყოფის სიმტკიცე. ამას ვერც ტრადიციები შველის. ყველა ასეთ გარდაქმნაში ჩვენ მოვალენი ვართ ვხედავდეთ თამაშის ევოლუციის, მისი განვითარებისა და სრულყოფის ნიშნებს. წლევანდელი სეზონი კი სწორედ ამ მხრივ იძლევა მდიდარ მასალას დასკვნებისათვის.

პრიზიორთა პირველ სამეულში თვალში გეცემათ ერთი ნიშანი, რომელიც სამივეს აერთიანებს. გასული წლის მანძილზე სამივემ მოახერხა შეექმნა საიმედო, დროის შესაბამისი დაცვის ხაზები, რომლებიც ოთხ-ოთხი მოთამაშისაგან შედგება. მართალია, შეიძლება გვიპასუხონ, რომ, მაგალითად, ცსკა-საც ფრიად საიმედო დაცვა აქვს: არმიელებს თავიანთ კარში ხომ მეტი ბურთი არ გაუშვიათ, ვიდრე ახალ ჩემპიონს. მაგრამ სწორედ ეს შედარება გვაძლევს გასაღებს ხამოვე პრიზიორის წარმატებათა ბუნების ასახსნელად.

საქმე ის არის, რომ ცსკა-ს გუნდში თავდაცვის ხაზს, თავისთავად კარგად ორგანიზებულს, საკმაო კავშირი არ ჰქონდა დანარჩენ ხაზებთან. შემთხვევითი როდია, რომ არმიელებს ჰქონდათ მთელი რიგი მაჩრები, რომლებშიც მათ არც ერთი ბურთი არ გაუტანიათ, და თუმცა ამავე დროს თავიანთ კარშიც ძალიან ცოტა ბურთი გაუშვეს, მაინც ქულების ნაკლებობა ფრიად საგრძნობი გამოვიდა. დაცვის ახლანდელი ხაზი, როცა მოთამაშენი განლაგებული არიან სქემით 1+4+2+4, სულ უფრო ნაკლებად ხდება თავისი კარის დარაჯი, მა ახლა, როგორც წესი, იყენებენ ტრამპლინად, რომელსაც ეყრდნობა იერიში. უფრო მეტიც — ახლა მცველებს ზშირად ვხედავთ იმ მოთამაშეთა რიგებში, რომლებიც შეტევას აწარმოებენ, და მათი გვარები არა იშვიათად გამოჩენილა ხოლმე დაფაზე მას შემდეგ, რაც გატანილი იქნა გოლი.

დიახ, დაცვა წინა ხაზზე გამოვიდა, და ეს სწორია როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი აზრით. შრავალი წლის მანძილზე იგი დამამგრეველის როლს ასრულებდა, ახლა კი მის როლს სხვა გააზრება ეძლევა, თანამედროვე მცველი სულ უფრო ხშირად იღებს შემოქმედებითი ხასიათის თამაშის, სხვანაირად რომ ვთქვათ, შეტევაში მონაწილეობის შესაძლებლობას. და შემთხვევითი როდია, რომ როცა გასული ჩემპიონატის უველაზე მკაფიო ეპიზოდებს ვიხსენებთ, შეგვიძლია დავეკავშიროთ ისინი იერიშში მოსკოველების კრუტკოვის, ლოგოფეტის, კესარევის და თბილისელების ბ. სიჭინავასა და ჩოხელის უეცრად და ლამაზად ჩაბმასთან. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გარდუვალად იწვევს იმას, რომ თანამედროვე მცველი მოვალეა იმდენადვე მაღალტექნიკური იყოს, ისეთივე დახვეწილი ტაქტიკური აზროვნება ჰქონდეს, როგორიც მის ამხანაგ ფორვარდებს. მე შემიძლია ისიც დავიჯერო, რომ დადგება დრო, როცა მწვრთნელებს შესაძლებლობა მიეცემათ ადგილი შეუცვალონ ხოლმე თავიანთი გუნდების მოთამაშეებს, რათა დაცვის ხაზებმა და თავდასხმის ხაზებმა ერთმანეთის ადგილზე გადაინაცვლონ. რასაკვირველია, ეს ხუმრობა უფროა. არა გვგონია, რომ ეს საჭირო გახდეს, მაგრამ მოთამაშეთა განვითარების ტენდენცია სწორედ ამ მიმართულებით მიდის.

ამრიგად, გამოდის, რომ ახლანდელ ჩემპიონატში გამარჯვებულნი ყველაფერს თავიანთ დაცვას უნდა უმადლოდნენ. მაგრამ ეს სწორია არა იმ აზრით, რომ თავდაცვის იდეები იმარჯვებს, არამედ იმ მხრივ, რომ თამაში ახალ სახეს იღებს, მასში სულ უფრო ხშირად ვხვდებით მოულოდნელს, უეცარს, მას თითქოს მეტი გაქანება ეძლევა, — იერიშში ხომ ახლა საკუთარი კარის ახლო მანძილიდან იწყება და მოთამაშეებს უნდებთ სულ უფრო მეტი გონებრივი მუშაობა გასწიონ, რათა იპოვნონ გზა მოწინააღმდეგის კარისაკენ. ერთი სიტყვით, დაცვის რეორგანიზაციას, რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს ეს, შედეგად მოჰყავ მთლიანად გუნდის გაქტიურება.



უველაფერი რომ ნათელი გახდეს, საჭიროა განვიხილოთ, რა დაემართათ გუნდებს, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სათავეში ედგნენ ჩვენს ფეხბურთს. მე მხედველობაში მაქვს „ტორპედო“ და კიევის „დინამო“. საინტერესოა, რომ ორივე ამ გუნდმა მოწინააღმდეგის კარში წელსაც ბევრი ბურთი გაიტანა. ავტოქარხნელები, მაგალითად, გრიგოლ ფედოტოვის სახელობის პრიზს იღებენ და მაინც არ შეიძლებოდა არ შეგვეშინა იერიშებისა და დაცვის ხაზებს შორის დისპროპორცია, რაც ადამიანს თვალში ხვდებოდა. ვფიქრობ, რომ ორივე ამ კოლექტივმა — მკაფიოდ გამოხატული შეტევითი სტილის წარმომადგენლებმა — ჯეროვნად არ შეაფასა თანამედროვე ფეხბურთის უკანასკნელი მოთხოვნები. მათთან არაფერი არ შეცვლილა, მოთამაშენი იგივე არიან, მათი თამაში დროდადრო ჩინებული, ლამაზია, არავინ არ დაბერებიათ, არავინ არ წასულა, შედეგები კი, როგორც იცით, მკვეთრად გაუარესდა.

საფიქრებელია, რომ ეს რამდენიმე მიზეზმა გამოიწვია. მაგრამ ამ მიზეზებს შორის ალბათ მთავარია ის, რომ წელს ჯეროვან სიმალლეზე არ იყო თავდაცვის ხაზები ორივე გუნდში, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ ლიდერები იყვნენ. კიეველები ხშირად გადაუხვევდნენ ხოლმე ოთხი მცველის სისტემას, ტორპედოელებმა კი უბრალოდ ვერ გამონახეს შესაფერი მოთამაშენი ამ ადგილებისათვის. ტაქტიკაში წესების დარღვევა ძვირი უჯდებოდათ გუნდებს, განსაკუთრებით შეხვედრებში ახლანდელ პრიზიორებთან და დონეცკის „შახტიორის“ გუნდთან, რომელშიც დაცვა ძალიან კარგად არის დაყენებული.

ამავე დროს „ტორპედოც“ და კიევის „დინამოც“, მიუხედავად წარუმატებლობისა ტურნირში, კვლავ რჩებიან ძლიერ გუნდებად და, ვფიქრობთ, მათ მომავლის კარგი პერსპექტივები აქვთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანს თავდაცვა საერთოდ ბევრმა ისწავლა. ბოლოს და ბოლოს, არც „პახტაკორი“, არც „ნეფტანიკი“, არც „მოლდოვა“ არავისთვის არ გამხდარან იოლი ნადავლი. მაგრამ განსხვავება სწორედ ის არის, რომ ახლა თავდაცვა, როგორც თვითმიზანი, დიდ საღირალს არ წარმოადგენს, იგი გახდა შემოქმედების საქმე, წინდაწინ გამარჯვებისა და არა უბადალებული ნულებისა.

ჩვენი ახალი ჩემპიონის შესახებ შეიძლება ძალიან მოკლედ ითქვას. სპარტაკელებმა ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინეს. მათი ფინიში დიდხანს დარჩება ხსოვნაში და სტატისტიკოსები მას განსაკუთრებულ ადგილს მოუნახავენ ფეხბურთის ისტორიაში. შემოდგომაზე ეს გუნდი პირდაპირ უძლეველი იყო. თბილისელ დინამოელებს შეუძლიათ იამაყონ, რომ მათ შეძლეს ორჯერ — საკუთარ მინდორზეც და მოსკოვშიც — დაემარცხებინათ ჩემპიონი. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მათი გამარჯვება ლუჟნიკში 9 სექტემბერს, მაშინ, როცა „სპარტაკი“ უკვე იწყებდა გაქანებას. საერთოდ ეს მატჩი ერთ-ერთი ყველაზე შინაარსიანი იყო ჩემპიონატში.

მოსკოვის „დინამომ“ მოგვაგონა ის მორბენალი, რომელიც მტკიცედ მირბოდა წინ, სანამ გვერდით არ დაინახა მეტოქე. აქ მას ერთბაშად უღალატა ძალამ და იგი მიხდა, რომ წინააღმდეგობა უსარგებლო იყო. მაგრამ მისი ნახტომი შარშანდელი მეთერთმეტე ადგილიდან ვერცხლამდე დიდი მიღწევაა.

ამ წლის განმავლობაში რამდენჯერმე დავწერე გაზეთ „კომუნისტში“ და თბილისელ დინამოელებს ჩემპიონატის მოსალოდნელ პრიზიორებს ვუწოდებდი. ჩემთვის, როგორც უურნალისტისათვის, ფრიად სასიამოვნოა, რომ პროგნოზი გამართლდა, თუმცა ქართველ ფეხბურთელთა თამაში ყველა საფუძველს იძლეოდა ასეთი გაბედული პროგნოზისათვის. მე კარგად მახსოვს თბილისის გუნდი სხვადასხვა წლებში, დაწყებული ომამდელი წლებით. იგი ყოველთვის თავისებური იყო. მაგრამ, ვფიქრობ, გუნდი ასე კარგად ორგანიზებული, მტკიცე და მიზანსწრაფული წინათ არასოდეს არ ყოფილა. იყო მომენტი, როცა მოსკოვში ცსკა-ს მიერ დამარცხების შემდეგ, მისი შანსები თითქოს შეირყა. მაგრამ სულისა და ძალების რეზერვები დაუშრეტელი აღმოჩნდა. გუნდმა 10 შესაძლებლიდან 9 ქულა მოიპოვა. მე არ მინახავს მისი უკანასკნელი თამაში, და აქ მეთხოველებს უპირატესობა აქვთ, მათ უფრო ადვილად შეუძლიათ განსჯანონ, როგორც საკუთარი თვალით მნახველებმა. ყოველ შემთხვევაში 18 ნოემბერს თბილისელებს ყველა საფუძველი ჰქონდათ მოეპოვებინათ ვერცხლის მედლები. მაგრამ რას იზამ, ქულები ყოველთვის როდია შემოქმედებითი მიღწევების პირდაპირ პროპორციული. თბილისის „დინამო“ კი ახლა, მისი ახალი სახით, 60-იანი წლების დასაწყისის ფეხბურთის მოდერნის სულისკვეთების ანსამბლია. ახლა, რაც არ უნდა უჩვეულოდ ეყლერდეს ეს, გუნდმა უნდა ეძებოს იმის გზები, რომ გაამლიეროს უკვე არა თავდაცვის ხაზი, სადაც ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობენ, არამედ თავდასხმა, რომელსაც გვსურს ვუსურვოთ მეტი სიმძაფრე და დინამიკა.

ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთში შემაჯამებელი ცხრილი დოკუმენტია, რომლის გასაჩივრება არ შეიძლება. მასში თვითეული იღებს ადგილს დამსახურებისამებრ. მთავარია გავერკვეთ იმაში, თუ როგორია ეს დამსახურება.

ვუბრუნდებით რა იმას, რითაც დავიწყეთ საუბარი, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს სრულიად არა დიდი ხნის ცნობილ კომბინაციასთან ლიდერთა სამეულში. სახელწოდებები იგივეა, თამაში კი — სხვა. და სწორედ ამ სხვა, ახალმა თამაშმა გამოიწვია ადგილების ასე განაწილება.

მაშ ასე, სეზონი განვლილია. იგი დრამატული და წარმტაცი იყო. მან ყველას საკმაო მღელვარება განგვაცდევინა, მოგვცა კარგი ფეხბურთის ბევრი ნიმუში. მაგრამ ყველაზე მთავარია ის, რომ მან საზრდო მისცა გონებას, მოკლე ხანში მოახდინა ფასეულობათა გადაფასება ფეხბურთში. ყოველივე ამის გამო დიდი მოუთმენლობით ველით მომავალ საფეხბურთო გაზაფხულს, მორიგ საიუბილეო ჩემპიონატს.

Ლ. ᲤᲘᲚᲐᲢᲝᲕᲘ,
გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქტორის მოადგილე.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზეგით — სსრ კავშირის 1962 წლის ჩემპიონი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდი; ქვევით — ჩემპიონატის მეორე პრიზიორი მოსკოვის „დინამოს“ გუნდი.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** რკინიგზელთა სახალხო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ლ. გოთუას ოთხმოქმედებიანი პიესა „მეფე ერეკლე“. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. შატბერაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ასკურავამ.

Თ. ᲩᲘᲮᲠᲐᲫᲔ.

● **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ა. მიროდანის სამმოქმედებიანი კომედია „სახელგანთქმული 702-ე“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მ. ფურცხვანიძემ, მხატვრულად გააფორმა ი. პეტრაიტისმა.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. ხაჟალია, ვ. გეგენაძე, კ. აბესაძე, ბ. კოკელაძე და სხვ.

● **ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ** კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფოს თეატრის ქართულმა დასმა დადგა კოჰოუტის დრამა „როცა ასეთი სიყვარულია“.

დადგმის რეჟისორია რ. შაფთოშვილი, მხატვარია რ. კიკნაძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ი. შერაზადიშვილი და ი. ცხვირაშვილი, მსახიობები გ. ქოქოევი, ნ. ვაშაკიძე, ვ. დარბაეშვილი და სხვ.

Ვ. ᲨᲔᲚᲙᲝᲕᲘᲩᲘ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

□ **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** (საკ. კორ.). სოფელ ლისის ცენტრში საექსპლოატაციოდ გადაეცა საკომლეფურნეო კულუბის შენობა, რომელიც 500-მდე მაყურებელს იტევს.

□ **ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ.** (საკ. კორ.). სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყო ავტომატური სატელეფონო სადგური, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ცალკეულ დამორეულ უბნებს შორის სატელეფონო კავშირს.

□ **ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ.** (საკ. კორ.). აქაურმა მცხოვრებმა ომარ ღელელეტაშვილმა შემახვედ სალაროში წარადგინა სახელმწიფო სამპროიგრეტიანი საშინაო მომგებიანი სესხის ოცმანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც მოგებად ხვდა ათასი მანეთი.

□ **ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ.** (საკ. კორ.). სოფელ მექვენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში დათვები დიდ ზიანს აყენებდნენ სიმინდის ნათესებს. მათი მოსპობა ახალგაზრდა კოლმეურნემ შოთა კვატაშიძემ იკისრა. ამ შემოდგომაზე მან ოთხი დათვი მოკლა, მათ შორის ორი — ნოემბრის პირველ დღეებში.

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲔᲑᲘ

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოება თავის რიგებში ერთ მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს. ესენი არიან მეცნიერები, ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, წარმოების მოწინავეები და ბევრი სხვა. ისინი უდიდეს შუამავლებს ეწევიან მასების კომუნისტური აღზრდისათვის, არიან პარტიის იდეების გამტარებლები, საბჭოთა ადამიანებს გადასცემენ ცოდნას მეცნიერებისა და ტექნიკის სულ სხვადასხვა დარგიდან.

ამ კეთილშობილურ მისიას ისინი ახორციელებენ როგორც საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში ლექციების კითხვით, ისე პრესაში გამოსვლების გზით, პოპულარული ბროშურებისა და წიგნების დაწერით.

ამ ნაბიჯი ნაშრომების გამოცემასა და გავრცელებას ეწევა საზოგადოების გამომცემლობა „ზნანიე“ („ცოდნა“).

გამომცემლობის წიგნები თითქოს სამ საფეხურად იყოფა ცოდნის დაუფლების გზაზე. პირველ საფეხურს შეადგენენ „მეცნიერებასა და ტექნიკაში საკითხავი წრის“ წიგნები, რომლებიც დაწერილია იმათთვის, ვინც იწყებს მეცადინეობას თვითგანათლებაზე, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობისათვის.

მაგალითად, 1963 წელს გამოვა დედამიწის ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებისადმი, ადამიანთა ცხოვრებაში მათემატიკის როლისადმი, ჩვენი ქვეყნის გეოლოგიური სიმდიდრეებისა და სხვა, უაღრესად მრავალფეროვანი საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნები.

ერთი საფეხურით მაღლა აპყავთ მკითხველი „წიგნებს კულტურის სახალხო უნივერსიტეტების მსმენელთათვის“ და სერიას „ტექნიკური შემოქმედება მასებს“. ყველაზე მომზადებულთათვის გამოდის „წიგნები მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებზე, ჰიპოთეზებსა და პრობლემებზე“. ვინც ამ წიგნებს კითხულობს, იგი არა მარტო ეცნობა ამა თუ იმ მეცნიერულ და ტექნიკურ მიღწევებსა თუ პრობლემებს, არამედ შეუძლია მთელი რიგი პრაქტიკული რეკომენდაციებიც მიიღოს თავისთვის. კერძოდ, წიგნში „ნადირობა უმორეს ტელეცენტრებზე“ მოთხრობილი იქნება, როგორ უნდა განხორციელდეს შორეული ტელემიღება, და აღწერილი იქნება კონსტრუქცია ტელევიზორის გამაძლიერებელი მოწყობილობისა — პარამეტრიული გამაძლიერებლისა, რომელიც სიახლეს წარმოადგენს რადიოელექტრონიკაში.

გამომცემლობა „ცოდნა“ უშვებს აგრეთვე ბროშურების სერიებს „კულტურის სახალხო უნივერსიტეტი“ და „სიახლე ცხოვრებაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში“. ეს ბროშურები ხელმოწერით ვრცელდება.

პირველი სერია გამოიცემა ცალცალკე

ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ

ხუთი ფაკულტეტის: საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ-ეკონომიური, სასოფლო-სამეურნეო, ლიტერატურისა და ხელოვნების, ჯანმრთელობის ფაკულტეტების მიხედვით. ბუნებრივია, რომ სერია პირველ რიგში გაანგარიშებულია კულტურის სახალხო უნივერსიტეტების, ჯანმრთელობის, მექანიკური პოლიტექნიკუმის უნივერსიტეტების მსმენელთათვის და ა. შ.

მაგრამ ბროშურებს ინტერესით წაიკითხავს ყველა, ვინც ჰორიზონტს იფართოებს, თვითგანათლებისათვის მეცადინეობს. მაგალითად, ვის არ აინტერესებს თავისი ორგანიზმის გაკაჟება, სხვადასხვა დაავადებისადმი მისი წინააღმდეგობის გაძლიერება, რაზეც გასაგებად არის მოთხრობილი ბროშურაში „ფოლადივით იწრთობოდე“, ან მსოფლიო მიზიდულობის პრობლემა, რომლის გადაჭრა მეტ ძალიერებას მისცემდა ადამიანებს, ვიდრე ბუნების ყოველი სხვა ძალა. ამაზე მოგვითხრობს სერიის ერთ-ერთი ნაკვეთი, რომელსაც „მიზიდულობის ამოცანა“ ეწოდება.

საზოგადოება აგრეთვე უშვებს ორ ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს „ნაუკა ი ჟიზნ“ („მეცნიერება და ცხოვრება“) და „ნაუკა ი რელიგია“ („მეცნიერება და რელიგია“).

პირველ ჟურნალში („ნაუკა ი ჟიზნ“) მკითხველი სულ სხვადასხვა კარს ხვდება. აქ მეცნიერების მოყვარულის დასვენებაც არის, მეცნიერული ფანტასტიკაც, წერილები ტექნიკურ სიახლეებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, საუბრებიც მეცნიერების საფუძველზე, შვიდწლედის ტექნიკაზე და ბევრი სხვა რამ საინტერესოც. ჟურნალი იძლევა ბევრ პრაქტიკულ რჩევას შინა ხელოსნობისათვის: როგორ გავაკეთოთ მსუბუქი ტივი ავტომობილის კამერების გამოყენებით, როგორ დავამონტაჟოთ ჯიბის რადიომიმღები და ა. შ.

ჟურნალი „ნაუკა ი რელიგია“ აქვეყნებს სტატიებს, ნარკვევებს, რეპორტაჟებს სამამულო და მსოფლიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე, რელიგიური იდეოლოგიის კრიტიკის საკითხებისადმი და რელიგიურ ცრურწმენათა დაძლევისადმი მიძღვნილ ლექციებსა და კონსულტაციებს, აშუქებს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გამოცდილებასა და მეთოდიკას. ბევრი მასალა ნავარაუდევია უშუალოდ მორწმუნეთათვის.

საზოგადოების ყველა გამოცემა დალაგების სტილით, ფაქტიური მონაცემებით, შედარებებით, ციფრებით ნავარაუდევია აგრეთვე ლექტორებისათვის, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის, რომლებიც წიგნებში, ბროშურებსა და ჟურნალებში თავიანთი მუშაობისათვის ბევრ რამე საინტერესოსა და საგულისხმოს ნახავენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მკითხველთა მასობრივად მოზიდვის მიზნით საზოგადოებამ მიაღწია თავის გამოცემათა დაბალ ღირებულებას. მაგალითად, მეტი წილი ბროშურები 5-6 კაპიკი ღირს. ხელისმოწერა ცალკეულ სერიებზე, აგრეთვე ჟურნალებზე წარმოებს „სოიუზპეჩატის“ ორგანობსა და საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში საზოგადოებრივი რწმენუნებულების მეშვეობით.

Ი. ᲩᲣᲑᲐᲠᲝᲕᲘ,
პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობის საზოგადოებრივი რეფერენტი.

ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 27 ნოემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს გაიმართა XXX საიუბილეო საკალათბურთო ჩემპიონატის მეხუთე ტური.

აქ საერთოდ აღიარებულმა ფავორიტებმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა და გროსმეისტერმა ვ. კორჩნოიმ ჩემპიონატის ტემპს უმატეს. მეხუთე ტურში მათ გათამაშების ცხრილში კიდევ თითო ქულა ჩაიწერეს. ვ. კორჩნოიმ დაამარცხა ძლიერი მეტოქე ლ. შტეინი, ხოლო მ. ტალმა — ე. მნაცაკანიანი.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡᲚᲗᲐ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ, 27 ნოემბერი. (საკდესი). დამთავრდა საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების გამოსვლები ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკანასკნელი მატჩები გაიმართა კოლორადოს შტატის დედაქალაქ დენვერში. ჩვენი კალათბურთელები დამარცხდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდთან ანგარიშით 71:86 (17:26), ხოლო ქალთა გუნდმა მოუგო სტუდენტთა კლუბ „ფლაინგ კუინსს“ — 54:32 (28:19).

ამრიგად ჩვენმა სპორტსმენებმა რვა მატჩიდან ოთხი მოიგეს. ქალთა გუნდმა გაიმარჯვა რვავე შეხვედრაში.

ა